საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 30 ივლისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მოწერა იყის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 4 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 4

საბჭოთა რუსეთის წითელი არმია შეუჩერებლივ მიიწევს წინ პოლონეთის გულისაკენ — ვარშავისაკენ და გალიციისაკენ, სადაც ის ევროპის სოციალისტური რევოლიუციის წინამორბედის როლს შეასრულებს.

მცირე აზიაში ნაციონალური რევოლიუცია იმარჯვებს: საფრანგეთის ჯარმა კილიკია უკვე დასტოვა, ანატოლიაში ყველგან ქემალისტები იმარჯვებენ, საბერძნეთის იმპერიალისტური ლაშქრის შემოტევა სმირნასთან შეაჩერეს.

ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთში დამარცხდა: ლოიდ-ჯორჯი საქმის გამოკეთებას საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების გამართვით ცდილობს. საბჭოთა რუსეთი ლონდონში მოსალაპარაკებლად ჩიჩერინს გზავნის. გვიახლოვდება დღე ევროპის სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისა!

საქართველოს მუშებო და გლეხებო! ემზადეთ, რომ ღირსეულად შეხვდეთ ამ დიად მომენტს!

## ხელისმომწერთ

გაზეთ „ახალი კომუნისტის" კანტორა გიცხადებთ რომ გაზეთზე ხვედრი ხელმოსაწერი ფული პირველ აგვისტომდე შემოიტანოთ. ვინც პირველ აგვისტომდე არ შემოიტანს, გაზეთი არ გაეგზავნება. ფული მხოლოთ შემდეგი მისამართით მიიღება: „ახალი კომუნისტის" რედაქცია და კანტორა რაჟდენ თომაშვილის სახელობის ქუჩა № 3.

გაზეთ „ახალი კომუნისტის" კანტორა.

## კორესპოდენტების საყურადღებოთ

მოგვაწოდეთ მოკლე შინაარსიანი წერილები. აღნიშნეთ ფაქტები ადგილობრივი და მუშათა ცხოვრებიდან. წერილები უნდა იყვეს დაწერილი ცალ გვერდზე სუფთათ და გასაგებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიბეჭდება. პასუხისმგებელ კორესპონდენტებს უფასოთ გაეგზავნებათ ჩვენი გაზეთი. გამოგვზავნეთ თქვენი მისამართი.

## რევოლიუციის შესვენება

კაცობრიობის გაყოფა ორ მტრულ შეურიგებელ ბანაკათ უბრალო ფრაზა როდია. ქვეყნიერება მართლა გაპობილია ორათ, გათიშულია ბრძოლის ბარიკადით, რომლის აქეთ-იქით დარაზმულია და ირაზმება კიდევ მჩაგვრელთა და დაჩაგრულთა ჯარი. დღეს უკვე აშკარაა რომ ამ ორ დიდ მტრულ კოალიციის მორიგება დიდი ხნით ყოვლათ შეუძლებელია, მათ შორის მკვიდრი ზავი ყოვლათ წარმოუდგენელია: ან ერთი უნდა გაისრისოს ხანგრძლივ ბრძოლაში, ან მეორე; ან ერთი იქნება გაგდებული ისტორიის სანაგვეზე, ან და მეორე. არც ერთი ბანაკი არ არის სავსებით ერთფეროვანი, ერთი და იგივე მისწრაფების მტარებელი, ერთი და იგივე შესაძლებლობის მქონე: აჭრელებულია მათი შემადგენლობა, სხვადება ერთმანეთისაგან ცალკე რაზმების კერძო მიზნები. მაგრამ უდაოა და აშკარა, რომ ამ ორ უზარმაზარ კოალიციის მეთაურებია ერთი მხრით საბჭოთა რუსეთი და მეორე მხრით კი ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური ინგლისი. კაცობრიობის დაჩაგრული, მაშასადამე უდიდესი ნაწილი, ყოველივე რაც კი არის მასში მოწყურებული წინსვლის, საყოველთაო ქვეყნიერების და საერთო ძმობის რუსეთის მხარეზეა. ყველა დამჩაგვრელები, ყველა მოტრფიალე ბურჟუაზიული ბატონობის და ბორკილების, ყველა გამღვივებელი ხალხთა შორის შუღლის და მტრობის ინგლისის ირგვლივ იყრის თავს და აი, ისტორიის ასპარეზის წინა ადგილზე უკანასკნელ წლებში ვხედავთ ამ ორ ერთი მეორის მოსისხლე მტერს, რომელთაც შეუძლიათ ერთად არსებობა ქვეყანაზე, რომელთაგან ერთი უნდა გასცილდეს ამ სოფელს.

მაგრამ ეს არ შიშნავს, რომ ბრძოლა მათ შუა მალე მოთავდება: ორივე მხარემ გამოიჩინა დიდი ძალა, ვერც ერთმა ვერ სძლია მოპირდაპირეს საბოლოოდ, ამიტომ აუცილებელი გახდა ორივესთვის შესვენება, სულის მოთქმა, საბრძოლველ კუნთების გაშლა. მედიდურებით აღსავსე, მთელი ქვეყნიერების ზემოდან ქვემოთ დამყურე, შეურიგებელი და მიუკარებელი ინგლისი, რომელსაც წინეთ ვერ გააგონებდით საბჭოთა რუსეთთან რაიმე დამოკიდებულების და ჭერაზე, გარდა ბრძოლისა და სუსხიან დატუქსვისა, დღეს იძულებულია საძაგელ რუსეთს ზავის წინადადებით მიმართოს: პოლონეთი იყო მისი უკანასკნელი ფალავანი და ამ ფალავნის სასტიკი დამარცხებით ამოიწურა ინგლისის იმედი რუსეთზე გამარჯვებისა ამ ახლო მომავალში. რასაკვირველია, ინგლისი არ შეწყვეტს, მას არც შეუძლია შეწყვიტოს ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომლის უბრალო არსებობაც კი მისთვის უდიდესი საშიშროებაა და პირდაპირი მუქარაა. მარა ამ ხანათ მას მეტი გზა არა აქვს, ყველა საშუალება სცადა და მიზანს არა თუ მიაღწია, სულ უფრო გაიუარესა მდგომარეობა—ამიტომ დროებითი ზავით ის ფიქრობს შეინარჩუნოს ძალა და უნარი ბრძოლის გასაახლებლათ ცოტათ თუ ბევრათ ახლო მომავალში: ვერ ამჩნევს, რომ რევოლიუციის ალის მიკარებისთანავე უფრო აენთება ნავთით გაჟღენთილი მისი ბურჟუაზიული სამეფო!

თავის მხრით საბჭოთა რუსეთიც საჭიროებს ასეთ სულის მოთქმას. საშინელი ბლოკადის ჯოჯოხეთური რკალი სწოვდა თითქმის სამი წლის განმავლობაში მისი მატერიალური კულტურის წვენს და წარმოებას ფიტავდა. წარმოებაა დღევანდელი ცხოვრების და დღევანდელი ბრძოლის ხერხემალი და მის გასამრთელებლათ და გასაჩაღებლათ ყოველი საშვალება და ღონისძიება უნდა გამონახოს რუსეთმა, რომელსაც თავს უდვია მეთაურობა ისტორიაში ჯერ უნახავ და გაუგონარ ტიტანიურ ბრძოლისა. რევოლიუციები ისტორიის ლოკომოტივებიაო—იტყოდა მარქსი. და ჭეშმარიტად, თვითვეული ლოკომოტივი, რომელსაც კი შეიძინს ბლოკადა მოხსნილი რუსეთი, იქნება რევოლიუციის წინ წამწევი, რევოლიუციის გადამტანი შორს, რუსეთის საზღვრების იქით. განა თქმა უნდა, რომ რევოლიუციის აკვანი, საბჭოთა რუსეთი ერთი წუთითაც არ შეაჩერებს რევოლიუციისათვის მუშაობას, რომ ის ყოველივე მას, რასაც მას მისცემს ბლოკადის მოხსნა და საზღვრების გახსნა, მოახმარს და მოიმარაგებს სწორეთ ბრძოლისათვის, სწორეთ რევოლიუციისათვის და რა ოხუნჯი უნდა იყვენ ის „ღრმა პოლიტიკოსები", რომლებიც რუსეთის ზავზე თანხმობაში, და კერძო პირების ზარალის ანაზღაურების და პროპაგანდაზე ხელის აღების დაპირებაში ხედავენ ბალშევიზმის რევოლიუციონური როლის დასასრულს, მათ მოჰქვიანებას! ბალშევიზმმა, ბატონებო, უკვე პოვა დიდი გამარჯვება მით, რომ ჩამომავლობით კორტრ-რევოლიუციის და რესტავრაციის მებაირაღტრე, შეურიგებელი ინგლისი აიძულა ზავზე მოლაპარაკება დაეწყო. დღევანდელი ცნობა ამერიკიდან, რომ ვაჭრობა საბჭოთა რუსეთთან ამიერიდან თავისუფლათ გამოუცხადებია მთავრობას, ღირს არა თუ მებრძოლ ბურჟუაზიის ვარშავის აღებათ, არამედ გაცილებით უფრო მეტათ. საბედისწერო მდგომარეობა აიძულებს საერთაშორისო ბურჟუაზიას თავისი დასაკლავი დანა თითონვე გალესოს და რევოლიუციის ბელადს ჩააბაროს, და ეს უკანასკნელი უარს იტყვის ამ იარაღის მიღებაზე და მით მისი მომრთმევის გულის განგმირვაზე? რასაკვირველია არა. და აი ის ზავი და ის „შერიგება", რომელიც ახლობელ დღეებსა თუ კვირეებში მოხდება, რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუც. შუა იქნება მოახლოებულ საყოველთაო რევოლიუციის გრიგალის და ქარტეხილის წინ სიწყნარე.

## ხრა საეჭვო დოკუმენტი.

როგორც ვიცით ქართველ მენშევიკების გადაუვალი სიმბოლო სარწმუნოებისა სხვათა შორის შეიცავს დაცვას პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისას, მის გაუკარებლობას პოლიტიკასთან. მათი კეთილშობილი აზრით, მუშის მარჯვენამ არ უნდა იცოდეს რას შვრება მისი მარცხენა, მუშის ბრძოლაში ეკონომიკა ჩინური კედლით უნდა იყოს გამტიხრული პოლიტიკისაგან. ამიტომაცაა, რომ მათი რწმუნებულნი, პროფესიონ. მოძრაობის ზედასართულებში მოკალათებულნი გენერლები ასე უყოყმანოთ ანგრევენ უზარმაზარ, ძველის-ძველ კავშირებსაც კი, თუ იქ შეამჩნიეს „პოლიტიკის" მარცვალი, ე. ი. ბალშევიკებისადმი თანაგრძნობა, მათკენ მიდრეკილება, მართალია მოძრაობის მთლიანობა ნიავდება ამით სავსებით, სამაგიეროთ წმინდა პროფესიონალური უმანკოების ფირმის ქვეშ დიდძალი კაპიტალი ეძინება მენშევიკებს ბალშევიკების ხარჯზე. და მეტი რაღა უნდათ მუშათა მოძრაობის ზედამხედველ საჭურისებს? მარა მარტო ამით არ კმაყოფილდებიან ჩვენი კუთხის ეს თავისებური სპეკულიანტები, გარდა ასეთი საგარეო პოლიტიკისა, პოლიტიკისა—ასე ვთქვათ на вынос, მათ აქვთ საბინაო პოლიტიკა, საკუთარი თავისთვის, ასე ვთქვათ პოლიტიკა распивочно. და აი ამ პოლიტიკას აამოძრავებენ ისინი ყოველთვის როცა გასაბაწრავია ბალშევიზმი; სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ქვაბის გარშემო აფუსფუსდებიან, თუ კი დღის წესრიგშია ხელის მოწერა სხვა ადგილას გამომუშავებულ რეპრესიებზე ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მაშინ ალარავის გაახსენდება მენშევიკების ფილოსოფია და ეთიკა შესახებ პროფესიონალურ და პოლიტიკურ მოძრაობის შერევის დაუშვებლობისა. ამას წინათ თბილისის პროფ. კავშირთა წარმომადგენელთა კრებამ დაადასტურა და უფრო სასტიკი ზომების მიღებაც „მოითხოვა"—მენშევიკების პარტიის დადგენილება ჩვენი პარტიის დაუზოგველ დევნის შესახებ. თავის „პროლეტარულ" სინიდისს აკიდეს ისეთი სიმძიმე, როგორც უსაქმოთ დარჩენილ ჯაშუშის ბინძური შემოქმედების ნაწარმოები ჭორი—ბალშევიკებს შეიარადებული აჯანყება ქონდათ გადაწყვეტილიო. „ერის ხმამ" შესაფერი ნაყოფი უკვე გამოიღო: ციხეგადასახლება, გაზეთების მიკეტვა და სხ. ასეთი უხვათ გვაგემებიეს. მაგრამ არც ამით დარჩენილან კმაყოფილი, მშობლიურ ნიადაგზე გაჩაღებული პოლიტიკა სურთ საერთაშორისო, ევროპის ნიადაგზე გადაიტანონ, დაჩქარებული ფიცით თავის უმწიკვლოებაში და ჩვენი შეჩვენებით ფიქრობენ ნამუსის გაწმენდას. და აი მამხილებელ და შემაჩვენებელ ერემია წინასწარმეტყველის როლში გამოდის იგივე აღმასრულებელი კომიტეტი საქართვ. პროფ. კავშირთა საბჭოსი, მას მიმართვა გაუგზავნია „პროფ. კავშირების საერთაშორისო ბიუროსთვის" (იხ. „ერთობა" № 165).

ამ საბრალმდებლო ოქმში ყველაფერი ძველია, ყველაფერი განმეორებაა იმის, რაც არა ერთხელ უცნობებიათ ქართველ მენშევიკებს ევროპის „დემოკრატიისთვის" თავის მიმართვაში „ინტერნაციონალისადმი" (ასეთი დაწესებულება ახლა თითქოს აღარ ეგულებათ მათ), ახალია მხოლოდ ხელახალი დამძიმება ცილისწამების ლოდით კავშირთა გენერლების „მუშური სინიდისისა".

მიმართვაში დაწვრილებითაა მოთხრობილი, თუ რატომ შეიქმნ;ნ იძულებულნი ჩვენებური უკიდურესი ინტერნაციონალისტები ნაციის კერასთან დაბრუნებულიყვნენ და ეროვნულ დამოუკიდებულობის ფარგლებში ხელი მიეყოთ „საერთაშორისო სოციალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობების" შექმნისათვის. აქ შეხვდებით უკვე მოდაში შესულ დებულებას იმის შესახებ, რომ „საქართველოს მუშათა კლასი ატარებს საზოგადოებრივ რეფორმებს სოციალისტური წესწყობილების დასამყარებლათ".

არაა დავიწყებული რასაკვირველია მიწის რეფორმაც, რომლის გამო განმეორებულია ცნობილ „საეჭვო" დოკუმენტის უტყუარი ფაქტი: „უმამულო და მცირე მამულიან გლეხებს გადაეცათ მსხვილი მესაკუთრეებისაგან ჩამორთმეული მიწებიო"... ხოლო დავიწყებულია, რომ ამასთანავე ნასყიდობის ქაღალდი, „ქუფჩა" აღიარებულია მენშევიკების მიერ „კომუნისტური მანიფესტის" დამატებით. შეხვდებით მიმართვაში ასეთ ზღაპრებსაც: ჩვენში წარმოება სახელმწიფოს, ქალაქების და ერობების ხელშია და „კერძო ინიციატივას კი ასპარეზი ეძლევა იმდენად, რამდენადაც ის ემსახურება საზოგადო მეურნეობის აღორძინებას".

საერთაშორისო ბიურო (რომელიც უკანასკნელი ცნობით აღარ ემხრობა მუშათა კლასის არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანების ცენტრს, არც ერთ ინტერნაციონალს), შეიძლება ცოტაოდი გაკვირდეს, როცა ამოიკითხავს მიმართვაში, რომ საქართველოში მუშათა კლასი პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელობით ერთმანეთს უთანხმებს კლასობრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს"; გაკვირდება და, ვშიშობთ, ეჭვი არ შეეპაროს ქართველ მენშევიკების გულწრფელობაში, როცა ამ თავმომწონე განცხადებას დაადარებს მათ მუდმივ ფიცს—მუშების პროფესიონ. მოძრაობას ჩვენ არ ვურევთ პოლიტიკაშიო.

სამაგიეროთ, ბიუროს წევრები კითხვითი ნიშნათ გადაიქცევიან, როცა ამოიკითხავენ მიმართვაში გასაოცებელ ამბავს: „საქართველოში განხორციელებულია მუშათა კლასის დიქტატურა"-ო. გვეშინია, მოულოდნელი შედეგი არ გამოიღოს ქართველ მენშევიკებისთვის ასეთმა კვეხნამ—ამსტერდამის მოყვითალო ბელადებს არაფრათ ეჭაშნიკებათ დიქტატურა და ვინ იცის, შეიძლება გული გაუცრუვდეთ ოაზისის სოციალისტებზე და საეჭვო ელემენტთა სიაში შეიტანონ.

რად დასჭირდათ ყოველივე ამის მოთხრობა ქართველ მენშევიკებს? აი, რად: „აქ სავსებით დაცულია,—ვკითხულობთ მიმართვაში,—სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების თავისუფლება და ყოველივე ძალდატანებითი ზომა მიმართუ-

ლია მხოლოდ იმ უმცირესობის წინააღმდეგ, რომელიც ძალმომრეობით სცდილობს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. სრული მოქალაქობრივი თავისუფლებით ვერ სარგებლობენ მარტო ძველი, თვითმპყრობელ რუსეთის მოტრფიალე ჯგუფები და აქ ყოველივე გავლენას მოკლებული ბალშევიკური პარტია". ასე სწერენ ბელადები. ჭეშმარიტების პატივისცემა ვთქვათ, არ მოეთხოვება მათ, მარა რა ძალა ადგიათ, რომ ასე უპატიოთ ეპყრობიან ამსტერდამელ ადრესატებს? თუ კი თქვენში მუშათა კლასის დიქტატურაა განხორციელებული,—შეუძლიათ იკითხონ მათ,—თუ მთელი მიწა ღარიბგლეხობის ან სახელმწიფოს ხელშია გადასული თუ წარმოება განსაზოგადოებულია თითქმის და კერძო ინიციატივაც მხოლოდ საზოგადოებრივ წარმოების სამსახურშია ჩაბმული ერთი გვიბრძანეთ, რაღა აქვთ საბრძოლველი საქართველოს ბალშევიკებს? და თუ მაინც იბრძვიან, ხომ „ყოველივე გავლენას მოკლებული" ყოფილან თქვენივე რწმუნებით და რაღა გაწუხებთ თქვენ, ან ჩვენ რას გვაწუხებთო?

მარა მარტო ამით არ გათავდება საზღვარგარეთელ ადრესატების წვალება, მათ პირში სტენიან ცილისწამების და შეთითხნილ ჭორების დომხალს: „ამ პარტიის ხელმძღვანელები სრულიად არ უწევენ ანგარიშს რუსეთ-ადერბეიჯანთან ჩამოგდებულ ზავს და შეურიგებლად უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას... ადგილობრივი ბალშევიკები საზავო ხელშეკრულებას აღიარნებენ მხოლოდ ქაღალდზე. საქმით კი ამზადებენ ისევ სამოქალაქო ომს და სისხლის ღვრას. თავისი გაზეთების ფურცლებზე ისინი ათავსებენ განგებ შეთხზულ ცნობებს და ქმნიან საქართველოს რესპუბლიკის გარშემო მტრულ განწყობილებას"... აი სად მარხია ძაღლის თავი. აი რა ყოფილა მიმართვის მთელი დედა აზრი და მიზანი: გაუმეორენ „საერთაშორისო ბიუროს" ის, რაც გამომუშავებულია მენშევიკების სპეციალურ სიცრუის ლაბორატორიაში. და ყველა ამის შემდეგ „აღმასრულებელი კომიტეტი" იმედს გამოსთქვამს, რომ საერთაშორისო ბიურო „გამოგზავნის მუშათა კომისიას ადგილობრივი მდგომარეობის შესასწავლათ და ბალშევიკური პარტიის ჩვენთან დამოკიდებულების გასაცნობათ", და ამით ზნეობრივ დახმარებას გაუწევს უთანასწოროთ ბრძოლაში გართულ საქართველოს მუშათა კლასსო.

კარგი იქნებოდა (თუმც განუხორციელებელი სურვილია) აღმასრულებელი კომიტეტი ზნეობას მაშინაც იხსენებდეს, როცა ადასტურებს მენშევიკების და მათი სათანადო ორგანოების „მორიგ ზომებს" ბალშევიკების წინააღმდეგ. მაშინ ექნებოდა რაიმე მნიშვნელობა საზღვარგარეთელებისკენ მიმართულ ფიცს და ხელების მტვრევას, გულში ცემას და დახმარებაზე კივილს. და სანამ ეს ასე არაა, სანამ ისინი გულმავიწყობას იჩენენ სწორეთ ასეთ შემთხვევაში, მგონი თვით ამსტერდამის მოყვითალო გენერლებისგან ისინი მიიღებენ ისეთსავე პასუხს, როგორიც მიიღენ ამნაირათვე მოპატიჟებულ რუსეთში მყოფ ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაციისაგან,—ე. ი. სიჩუმეს.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### მეურნეობის აღორძინება და ომი თეთრ პოლონეთთან.

შლიახტების თავდასხმით გამოწვეულმა ომმა დასავლეთ ფრონტზე დაუყოვნებლივ უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს ეკონომიურ აღმშენებლობაზე ფრონტი გვართმევს სურსათ-სანოვაგის ნაწილს, რომელიც მშრომელი ხალხის საჭიროებისათვის იქნებოდა გამოყენებული; ეს გარემოება ახდენს გავლენას შრომის ნაყოფიერებაზე და წარმოებაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობაზე. ასევე ითქმის ტანისამოსისა და ფეხსაცმელების შესახებაც, რომლებითაც უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ფრონტი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ტრანსპორტი და ფაბრიკა—ქარხნების დიდი რიცხვი იძულებული იყო უარეყო პირველ რიგში მეურნეობის საჭიროებისათვის მუშაობა და კვლავ ფრონტისთვის ამუშავებულიყო. ასეთია თეთრ პოლონეთთან ომის უახლოესი შედეგები მაგრამ სრულიად წინააღმდეგი იქნება მისი საბოლოო შედეგი (თავისთავად ცხადია იმ შემთხვევაში, თუ შლიახტა დამარცხდა ვინაიდან თუ კი მან გაიმარჯვა, ეს გვეკარნახებს ჩვენ ისეთ გამანადგურებელ და გამძარცველ ზავს, რომ მის წინაშე ბრესტის ზავი ძმურ კოცნათ მოგვეჩვენება), სახელდობრ: საბჭოთა რუსეთის გამარჯვება თეთრ პოლონეთზე იქნება ბლოკადის რეალური ბ. ლო, სხვა ქვეყნებთან თავისუფალ ეკონომიურ დამოკიდებულებათა ნამდვილი აღდგენა. წითელ ჯარების პირველივე გამარჯვება აიძულებს ლოიდ-ჯორჯს „გაიხსენოს" სტატისტიკა და მეგობრულად აცნობოს თავის კოლეგებს ინგლისის დეპუტატთა პალატაში, რომ ომამდე რუსეთი აწვდიდა ევროპის ქვეყნებს მთელ შემოტანილ „სურსათ სანოვაგის მეოთხედს და რომ „რუსეთი საჭიროა მთელი ქვეყნიერობისთვის. (აქ პატივცემული დჟენტლმენი რუსეთში გულისხმობს რუსეთის ტყავს, ზეთს, ტყეს და სხვ.) მეორე დეპუტატმა დაამოწმა რომ ინგლისის ხელის სართავები და ფეხსაცმელების ფაბრიკები გაჩერდა ნედლ მასალის უქონლობის გამო. ლოიდ-ჯორჯს არ სწამს შლიახტის გამარჯვება და ფიქრობს რომ „პოლონეთმა დიდი შეცდომა დაუშვა". რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეთა მსვლელობა პოლონეთის ფრონტზე აიძულებს ლოიდ-ჯორჯს (იმის მიუხედავად, რომ პოლონეთის ავანტიურა ჯერ კიდევ ინგლისის დახმარებით სულდგმულობს) სპეკულიაცია აწარმოოს დღეს უკვე განწირულ პოლონეთ—ვრანგელის ინტერვენციაზე და შეუდგეს უკვე ახლა ბლოკადის ლიკვიდაციას. და ეჭვს გარეშეა, რომ თვითეული ჩვენი გამარჯვება შლიახტაზე მოგვიახლოვებს იმ დღეს, როდესაც საქონლით დატვირთული ინგლისის გემები უნდა წამოვიდენ რუსეთისაკენ.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით „გამჭრიახ" ლოიდ-ჯორჯს, რომ „პოლონეთმა დიდი შეცდომა ჩაიდინა". ინგლისის მინისტრი შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით უფრო მართალია, ვიდრე მას ჰგონია. პოლონეთის „შეცდომას", ე. ი. თეთრ პოლონეთის დამარცხებას შედეგათ მოყვება პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს სიკვდილი პოლიტიკურათ და მის ნანგრევებზე პოლონეთის პროლეტარიატის სახელმწიფოს აღმოცენება. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა დღეს უკვე გაფთრებული არჩევს იმ შედეგებს, რომლებიც მოყვება გერმანიის მეზობლათ პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკის, საბჭოთა რუსეთის ამ ბუნებრივ და უახლოეს მოკავშირეს წარმოშობას. გერმანიის ბურჟუაზიას მეტის-მეტად აფრთხობს „კომუნისტური ურდოებთან" მეზობლობის პერსპექტივები.

ასეთ „მეზობლობის" მეოხებით თავისთავად (ცხადია, გერმანიის პროლეტარიატის აჯანყება, არ შეიძლება განმარტოვებული და ჩახშობილი იქნეს, როგორც ეს ჩაიდინა შეიარაღებულ კაპიტალმა ჰუნგრეთის პროლეტარიატის მიმართ. ასეთი მეზობლობა დიდ შანსს მისცემდა გერმანიის მუშურ რევოლიუციის წარმატებას.—რომელიც ამავე დროს აუცილებლად მოასწავებდა სრულ რევოლიუციას საერთაშორისო ეკონომიკაში,დ საფუძველს ჩაუყრიდა ევროპის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო კავშირს.

მაგრამ მიუხედავათ გერმანიის შინაგან ევოლიუციისა პირდაპირი მეზობლობა მის და საბჭოთა პოლონეთს და რუსეთს შორის საქონლის გაცვლა გამოცვლის შესაძლებლობას მისცემდა და მოუსპობდა ანტანტის კაპიტალს მონოპოლიურ (განსაკუთრებულ) მდგომარეობის ყოველგვარ იმედებს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებაში.

დიახ, ბურჟუაზიულმა პოლონეთმა დიდი „შეცდომა" ჩაიდინა, რომ 1920 წელს ესწრაფოდა „1772 წლის საზღვრების" აღდგენას და უგნური შლახტის ანტანტელ მექომაგეებმაც ჩაიდინეს თავის შედეგებით უბედური შეცდომა: ამაოდ იმედობდენ საბჭოთა რუსეთი დაეშორებიათ ბურჟუაზიული ევროპასთან— ის ზაზი გაეხადათ საზღვრათა რომელიც 1772 წელს იდო რუსეთის და პოლშის თავად-აზნაურების მამულებს შორის.

დღიურ წესრიგშია უკვე არსებული საზღვრების აღვა-მოსპობა და არა ძველის აღდგენა. ბურჟუაზია გაკოტრდა თავის ცდებში მოეწყო საერთაშორისო მეურნეობა. და ამჟამად რუსეთის მეურნეობის აღდგენის ამოცანა ერთდება. ევროპის მეურნეობის აღდგენის ამოცანასთან ერთს რევოლიუციონურ გამოცანაში.

„პრავდა" № 125.

## მოქალაქე რაჟდენიძეს

(იხ. „ახალი კომუნისტის № 3)

გაგრძელება.

მაშ ასე: შინაარსის ხანსხვავება ჰბადებს ფორმის განსხვავებასაც. „დემოკრატია", დემოკრატიზმი, ეს ისტორიულ-სოციალური მოვლენაა, ამიტომ ის დროისით მსვლელობაში უნდა განვინილოთ. ასე გვასწავლის დილექტიური ლოლიკა (რაზედაც მოქალაქე რაჟდენიძე მწყრალათ ბრძანდება). დროს განმავლობაში კი იცვლება, როგორც შინაარსი, ისე ფორმაც.

იმ დროს, იმ პირობებში, ვამბობთ, ჩვენ, როცა საზოგადოება უმეტესათ წვრილი ბურჟუაზიისგან შედგება, ის შემადგენლობით დემოკრატიულია და მისი შესაფერი პოლიტიკური ფორმაც დემოკრატიული რესპუბლიკაა. მაგრამ დროს განმავლობაში იცვლება საზოგადოების შემადგენლობა, ე. ი. შინაარსი და მისი უმეტესობა პროლეტარდება ამის დაგვარათ იცვლება საზოგადოების შესაფერი პოლიტიკური ფორმაც, ე. ი. „დემოკრატიული რესპუბლიკის" ნაცვლათ ჩნდება საბჭოთა რესპუბლიკა.

მოქალაქე რაჟდენიძე კი ბრძანებს: თავიდანვე იყო ფორმა იგი „დემოკრატიული რესპუბლიკა" და შემდეგშიაც პროლეტარიატის დიქტატურის დროსაც იგივე პოლიტიკური ფორმა—„დემოკრატიული რესპუბლიკა" ძალაში დარჩებაო. ასეთი მსჯელობა, როგორც მკითხველი ხედავს პირწავარდნილი მეტაფიზიკობაა. რაჟდენიძეს კი თავი მარქსისტათ მოაქვს! მარქსისტობა და მეტაფიზიკობა, ეს ორი ურთიერთშორის მოურიგებელი ცნებაა.

ესეც არ იყოს, რაჟდენიძის სიტყვები: „პროლეტარიატის დიქტატურა შეიცავს პოლიტიკურ დემოკრატიას და სოციალისტურს, ე. ი. პროლეტარულ ეკონომიკას", ნამდვილ „ბაბილონის გოდოლს" წარმოადგენს: აქ არის წარმოდგენილი ავტორის სრული ულოღიკობა, მეტაფიზიკობა მის მიერ ცნებების არევდარევა. და, რაც ყველაზე საყურადღებოა, მარქსიზმის მთავარი დებულების უარყოფა. ამნაირათ ეს სიტყვები რაჟდენიძის სამარეა და სხვა არაფერი.

მართლაც და არის თვით სიტყვა „დემოკრატია"? დემოს—ხალხია, ხოლო კრატია—ბატონობაა, აქედენ ეს სიტყვა ნიშნავს ხალხის ბატონობას. რას ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურა? ესეც ხალხის ბატონობას. აქედან თითქო ერთი შეხედვით წინააღმდეგობა აღარ არსებობს. ამით სარგებლობს რაჟდენიძე და თავისი მეტაფიზიკური „ლოღიკით" ისე თავხედურათ ამაყობს. მაგრამ ჩაუკვირდით ოდნავ, მკითხველო ზემოხსენებულ სიტყვების ნამდვილ ისტორიულ მნიშვნელობას და მაშინ აშკარათ დაინახავთ, თუ რა ღირსების არის რაჟდენიძის „ბრწყინვალე" ლოღიკა და მისი მედიდურობით სავსე „ერუდიცია."

აქ, როგორც ხედავთ, რაჟდენიძის წარმოდგენით, ორივე შემთხვევაში „დემოკრატია" ხალხის ბატონობას ნიშნავს და ის იმას კი არ ჰკითხულობს, თუ ეს ხალხი თავისი შემადგენლობით როგორ იცვლება: წინათ როგორი იყო მისი უმრავლესობა, დღეს როგორია ეს უმრავლესობა რადგან მისთვის ეს სულ ერთია: ორივე შემთხვევაში უმრავლესობა ბატონობს „დემოკრატიააო", გვიბრძანებს ის. ხოლო ჩვენ გამბობთ: პირველ შემთხვევაში ეს „ხალხის უმრავლესობა" წვრილ ბურჟუაზიულია, მეორე შემთხვევაში კი პროლეტარული, აქედან პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. ხალხის ე. ი. „დემოკრატიის" (თქვენებურად)

## პარტიული მუშაობა მიწადმოქმედებაში

(ტეზისები)

1) გლეხის სამეურნეო და პოლიტიკური აზრის უმოძრაობა, გამოწვეული წვრილი საგლეხო მეურნეობის პირობებით და მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკით, რაიც მოითხოვდა, რომ გლეხთა მასსები მონობაში და უმეცრებასიბნელეში ყოფილიყო, — წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს „ტორმოზს" (შემაფერხებელ ძალას) სასოფლო მეურნეობის განყოფილებებისა და მის სოციალისტურ საფუძვლებზე მოწმობის საქმეში.

2) პარტიული მუშაობა სოფლად ამაღლებს გლეხთა მასსების გონებრივი განვითარებისა და პოლიტიკური შეგნების საერთო დონეს, ულვივებს მათ მოთხოვნილებას ნივთიერად და კულტურულად უკეთ მოაწყონ თსვისი ცხოვრება და ამითი აფართოვებს მათ სამეურნეო ჰორიზონტებს, შესაძლებლად ხდის მათვის შეიგუონ და შეითვისონ მიწად-მოქმედების ახალი ფორმები, და აბედვინებს შეუდგენ ამ ფორმების განხორციელებას.

3) გლეხობა აქნობამდე ერთგულად შერჩა რევოლიუციას და იცავს მას პროლეტარიატთან ერთად უმეტესად იმიტომ, რომ რევოლიუციამ მას მიწა მოუპოვა. ამასთანავე გლეხი უწინარეს ყოვლისა მესაკუთრე მიწად-მოქმედია. მთელი მისი ყოფა-ცხოვრება, მთელი მისი მსოფლ—მხედველობა, მთელი მსვლელობა მისი აზრებისა დაკავშირებულია მის საკუთარ მეურნეობასთან, მითი არის განსაზღვრული და შემოზღუდული. ამიტომ პარტიული აგიტაციის და პროპაგანდის ღერძად სოფელში უნდა იყოს გლეხის მიწის მეურნეობა.

4) მთავარი საბუთი ჩვენი აგიტაციისა არის ეკონომიურად გარდაქმნა საზოგადოებისა კომინისტურ საფუძველზე. მაგრამ გლეხთა მასსებისთვის რომ სარწმუნო გავხადოთ ჩვენი აგიტაცია, ამისათვის საჭიროა არ დავკმაყოფილდეთ კოლლექტიური მეურნეობის მარტოოდენ ზოგადი იდეის ქადაგებით, საჭიროა რაც შეიძლება მეტად კონკრეტიულათ გამოვხატოთ ის ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით და მათი მიხედვით. აგიტაციას მხოლოდ მაშინ ექნება წარმატება და გასავალი, როცა მას დავამყარებთ ადგილობრივი რაიონის, გუბერნიის, მაზრის და სოფლის საგლეხო მეურნეობის გულმოდგინეთ გამოკვლევაშესწავლაზე. მხოლოდ მაშინ, თუ კერძო შემთხვევებიდან ზოგად დებულებებზე გადავალთ, თუ გლეხის აზრს მის გარშემო არსებულ სინამდვილის ანალიზიდან თანდათანოპით მივიყვანთ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მეურნეობის ახალი ფორმების შემოღება,—მხოლოდ მაშინ ექნება წარმატება ჩვენს აგიტაციას. ეს წესი საფუძვლათ უნდა დაედოს მთელს ჩვენს პარტიულ აგიტაციას სოფელში გლეხთა მასსების მსოფლმხედველობის შეზღუდულობისა და ჩამორჩენილობის გამო,

5) პარტიული მუშაობა მიწადმოქმედებაში ორი გზით უნდა მიდიოდეს: ერთის მხრით საჭიროა გაკრიტიკება არსებული ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობისა, როგორც და რა პირობებშიაც ის ამ ჟამად სწარმოებს სოფლად, მეორე მხრით საჭიროა პროპაგანდა რაციონალური მეურნეობის შემოღებისათვის.

6) როცა აგიტაციას ეწევიან სასოფლო მეურნეობაში გაუმჯობესებული სისტემის შემოღების შესახებ, უფრო ხშირად გლეხებს ურჩევენ, როგორც ერთად-ერთ საშვალებას, მიწის დამუშავების კოლლექტიურ ფორმებზე გარდასვლას. ეს არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ წვრილი საგლეხო მეურნეობა კიდევ დიდხანს იარსებებს (§ 10 რ. კ. პ. პროგრამისა), ამიტომ საჭიროა ჩვენს პროპაგანდა-აგიტაციაში გლეხებს აუხსნათ რა და რა სხვა და სხვა საშვალებებით შეიძლება სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და წვრილ-წვრილი მიწის ნაჭრების უფრო სასარგებლოდ გამოყენება: უნდა გავაცნოთ ახალი სამეურნეო წესები მიწის დამუშავებისა, შრომის მეხანიზაცია და სხვა.

7) მეურნეობის კოლლექტიურ ფორმებზე გარდასვლის მთავარ მოტივათ ის კი არ უნდა წამოვაყენოთ წინ, რომ ამ ფორმებზე გარდასვლა ეს იქნება შემოღება სოციალისტური წეს-წყობილებისა, რაიც თავისთავად ძნელი შესაგნებია გლეხის მიერ,—არამედ ის, რომ კოლლექტიური ფორმები მეურნეობისა წარმოადგენს უებარ საშვალებას განადგურებული მეურნეობის გამოსაბრუნებლად და სიღარიბის მოსასპობათ".

„გლეხებო, თუ გინდათ თავი დააღწიოთ სიღარიბესა და გაჭირვებას, შეადგინეთ არტელი ან კომუნა",—აი, ბრძოლის ლოზუნგი ჩვენს აგიტაციაში კოლლექტიური ფორმებისათვის,

8) საბჭოთა მთავრობა ხელს უწყობს და აქეზებს სასოფლო მეურნეობაში შრომის განსაზოგადოების ყველა ფორმებს, რამდენათაც ეს ფორმები შრომის პრინციპზე იქნება დამყარებული და ექსპლოატაციის მიზნებს არ ემსახურება. ამ გარემოებას კოლლექტიური მეურნეობისათვის აგიტაციის დროს განსაკუთრებულათ უნდა გაესვას ხაზი. და უნდა ჩაეგონოს გლეხებს, რომ სრულს მათ ნებას შეადგენს ამოირჩიონ ამ ფორმებში ისეთი, რომელიც ყველაზე მეტად მოხერხებული იქნება მათთვის, თუნდ ყველაზე მარტივიც თავდაპირველად.

9) მე-9 ყრილობამ რ. კ. პ—სამ საჭიროდ აღიარა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გადახალისება საბჭოთა საერთო სააღმშენებლო პრინციპების თანხმად. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადახალისებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია გახდება ძლიერი იარაღი გლეხთა მასსების კომუნისტურად აღზრდისათვის და მათ ჩასათრევად კოლლექტიური მეურნეობის მოწყობის პროცესში. ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა და სოფლის კომუნისტურმა წრეებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ კოოპერატიულ მოძრაობაში და თან უნდა ჩაითრიონ ფართო მასსები ღარიბ და საშვალო გლეხებისა.

10) „სოვხოზები" (სამეურნეო საბჭოები) და კოლლექტივები უნდა გახდენ სოციალისტური კულტურის ცენტრებათ. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ თვითონ „სოვხოზების" და კოლლექტივების მუშაკთ მიუღიათ კომუნისტური აღზრდა, თუ წინათაც ორგანიზაციულ კავშირში ყოფილან პარტიასთან.

11) იდეიური კომუნისტური ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ესაჭიროება კოლლექტივებს. შენიშნულია, რომ მეურნეობა მტკიცეთ აქვთ დაყენებული მარტოკა იმ კოლლექტივებს, რომელთა ხელმძღვანელებს მიუღიათ არა მხოლოდ პრაქტიკული სამეურნეო, არამედ იდეიურ-კომუნისტური მომზადებაც. კოლლექტივების მონაწილეთა წინაშე ყოველდღე ისმება ისეთი კითხვები, როგორიც არის: დედაკაცსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულება, ბავშვების აღზრდა, საშრომო დისციპლინა, ერთი სიტყვით ყოველგვარი კითხვები ახალი ყოფა-ცხოვრებისა და მორალის შესახებ, და მეურნეობისა და კოლლექტივების მთელი ბედი იმაზე ჰკიდია, თუ რანაირად სწყდება ეს კითხვები. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დაეხმარონ კოლლექტივებს ამ კითხვების კომუნისტურად გადაჭრაში და სისტემატიურად გაუწიონ საინსტრუქტორო დახმარება კოლლექტივების წრეებს.

12) „დებულებაში შესახებ მიწის სოციალისტურად გამოყენებისა" ნათქვამია, რომ „სოვხოზები" და კოლლექტივები არ უნდა გამოეთიშონ ადგილობრივ გლეხთა მოსახლეობას და მოვალენი არიან, ყოველგვარი სამეურნეო და საკულტურო დახმარება აღმოუჩინონ მას. „სოვხოზებისა" და კოლლექტივების კომუნისტური წრეები თაოსნობას უნდა ეწეოდენ ამ საქმეში. ადგილობრივ მცხოვრებთათვის სამეურნეო დახმარების ყველაზე უფრო იოლათ მოწყობა შესაძლოა მჭიდრო ორგანიზაციული კავშირით მათსა და კერძო-პიროვნულათ მომუშავე გლეხთა პარტიულ წრეებს შორის.

13) საბჭოთა მეურნეობანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ტეხნიკურათ კარგათ მოეწყონ და მათი საწარმოვო მუშაობის საქმე კარგათ მოგვარდეს, უკეთუ პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სასოფლო-სამეურნეო მუშებს და მათ პარტიულისა და პროფესიონალური მუშაობით სოციალისტური მიწათმოქმედების ორგანიზატორულ როლისთვის. მომზადებს.

14) პროპაგანდა სასოფლო-მეურნეობის რაციონალურად მოწყობისათვის, როგორც კოლლექტიურ ფორმებზე გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავის შესაფერ გამოხატულებას ბურჟუაზიული სოციალიზმი მაშინ პოულობს, როდესაც მარტოოდენ მოლაყბე ფიგურას წარმოადგენს.

თავისუფალი ვაჭრობა!—მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მფარველობითი ტარიფები!—მუშათა კლასის ინტერესებისათვის; ციხის საკანი! —მუშათა კლასის ინტერესებისათვის: ეს არის უკანასკნელი; ერთად ერთი სერიოზულად ნათქვამი სიტყვა ბურჟუაზიული სოციალიზმისა".

**კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „კომუნისტ. მანიფესტი" გვ. 57.**

---

ბატონობა ერთი არაა. იგი სხვაა, დემოკრატია კიდევ სხვა, „შუა უზის დიდი ზღვარი"! გაიგეთ? ეს ერთი დიდი შეცდომა თქვენის მხრით მოქალაქევ! ახლა დახედეთ მეორესაც და დასტკბით თქვენივე სიმშვენიერით.

თქვენ თქვენი ოქროს პირით ბრძანებთ: „პროლეტარიატის დიქტატურა შეიცავს პოლიტიკურ დემოკრატიას და სოციალისტურს, ე. ი. პროლეტარულ ეკონომიკას".

როგორ?! პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. ხალხის პროლეტარული უმრავლესობის ბატონობა ასეთ წინააღმდეგობას „შეიცავს"? ესე იგი: ეს დიქტატურა **პოლიტიკაში** წვრილ-ბურჟუაზიული მასის გაბატონებით, სხვანაირათ „დემოკრატიით" გამოიხატება, ხოლო **ეკონომიკაში** — პროლეტარული მასის გაბატონებით, ე. ი. „სოციალიზმით". აი აბრუნდ-ჩაბრუნდიც ამას ჰქვია!

აქ „მარქსისტი" რაჟდენიძე გვარწმუნებს, რომ პოლიტიკაში გაბატონებული კლასი ერთია, ხოლო ეკონომიკაში კი მეორე. რაჟდენიძის წარმოდგენით, ხალხის პროლეტარული უმრავლესობის ბატონობა, ე. ი. „პროლეტარიატის დიქტატურა" ძველი ქვეყნის ღმერთს, ორპიროვან იანუსს წარმოგვიდგენს: ერთი მხრით რომ ტიპიურ მეშჩანინს გვისურათებს, ხოლო მეორე მხრით მრისხანე პროლეტარს გვიხატავს. მეშჩანინი და პროლეტარი! რაა ამათ შორის საერთო?! არა, მოქალაქევ! მარქსიზმის ანბანი დაგვიწყებიათ. ეკონომიკა საფუძველია, ხოლო პოლიტიკა „ზედნაშენი". თუ ეკონიიკაში შესძლო პროლეტარიატმა ბატონობა, ე. ი. მას ძალუძს ეკონომიურ სფეროში სოციალისტური ნაბიჯები გადადგას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი პოლიტიკაშიაც გაბატონებულია, ე. ი. მისი ბატონობა „პოლიტიკურ დემოკრატიას კი არ შეიცავს", როგორც თქვენ ბრძანებთ, არამედ „პროლეტარულ დიქტატურას", როგორც ჩვენ ვფიქრობთ. „პოლიტიკური დემოკრატია" და პროლეტარიატის დიქტატურა, ეს ორი ცნება ისეა დაპირდაპირებული, როგორც ბურჟუაზიული და პროლეტარული კლასები ერთურთის წინააღმდეგ.

და თუ თქვენ მაინცა და მაინც ცდილობთ, რომ „სოციალისტური, ესე იგი პროლეტარული ეკონომიკის" ფირმით „პოლიტიკური დემოკრატიაც" გაასაღოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ „ბურჟუაზიული სოციალისტი" ბრძანდებით და არა ნამდვილი სოციალისტი.

კარგა ხანია მარქსმა და ენგელსმა თქვენისთანებზე ზედმიწევნით სრულათ იწინასწარმეტყველეს „კომუნისტურ მანიფესტში", სადაც ისინი, თითქო თქვენზე შემდეგს ამბობს: „თავის შესაფერ გამოხატულებას ბურჟუაზიული სოციალიზმი მაშინ პოულობს, როდესაც მარტოოდენ მოლაყბე ფიგურას წარმოადგენს" (კომ. მან. გვ. 57). და აი დღეს ამ „მარტოოდენ მოლაყბე ფიგურას" თქვენ წარმოადგენთ, ვინაიდან თქვენა ხართ ბურჟუაზიული სოციალიზმის გამომხატველი და არა ჭეშმარიტი სოციალიზმისა. ახლა, მგონი, რომ კმარა, შემდეგ კითხვებზე სხვა დროს იყოს.

**დემოხიძე.**

---

**გაუმარჯოს მშრომელთა მსოფლიო გაერთიანებას მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ!**

---

# ინტერნაციონალის გარშემო.

**ამხ. ამხ კაშენის და ფროსარის განცხადება.**

კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომის (აღმასრულებელი კომიტეტას მთელი რიგ სხდომების შემდეგ, რომლიზედაც მოსმენილ იქნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დამსწრე დელეგატების ამხ. ამხ. კაშენის და ფროსარის მოხსენებები, რომლებმაც გააშუქეს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დამოკიდებულება მე-3 ინტერნაციონალთან, ზემოხსენებულმა ამხანაგებმა შეადგინეს შემდეგი განცხადება, რომლის მიხედვითაც კომუნისტური ინტერნაციონაციონალის აღმასკომმა დაადგინა დაუშვას ისინი კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესზე, როგორც სტუმრები სათათბირო ხმით.

„ჩვენ წარმოგიდგინეთ თქვენ, ამხანაგებო, მანდატი, რომელიც მოგვცა სტრასბურგის კონგრესმა. როგორც იქედან გაიგებთ, კონგრესმა დაგვავალა ჩვენ მოლაპარაკება გავმართოდ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც შევიდენ მე-III ინტერნაციონალში.

საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ თავის რეზოლიუციებში კონგრესზე გამოსთქვა თავისი სრული სოლიდარობა პროლეტარიატის დიდ განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან ყველა მის ფორმებში. პარტიამ აღიარა, რომ მოსკოვის ინტერნაციონალის არც ერთი ძირითადი დეკლარაცია არ ეწინააღმდეგება სოციალიზმის პრინციპებს, და რომ პროლეტარიატის დიქტატურა საფუძველია რევოლიუციონურ იდეოლოგიის, რომ მუშათა, გლეხთა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოების აღმოცენება აღიარებულ უნდა იქნეს, როგორც უმთავრესი მონოპოვარი პროლეტარიატის ძალა-უფლების განხორციელების გზაზე.

თქვენ გვთხოვეთ ჩვენ დამატებითი ახსნა-განმარტება ჩვენი პირველი დეკლარაციის ზოგიერთ მუხლების შესახებ. თქვენ რამოდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვით ჩვენი პარტიის და პრესის უმთავრესათ შინაური მოქმედების შესახებ.

ამის საპასუხოთ ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ ვთვლით შემდეგ განმარტებას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ რომ უკვე ორი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიის უმრავლესობა იბრძოდა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში რეფორმისტულ ტაქტიკის წინააღმდეგ. ამჟამად, არსებულ სოციალურ და ეკონომიურ პირობებში კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ამსტერდამის კონგრესის დროს, ჩვენ თქვენთან ერთად სოლიდარულად ვფიქრობთ, რომ კაპიტალისტურ ეკონომიური სისტემის აღდგენის ანუ მხარის დაჭერის ყოველგვარი ცდა განწირულია სინამდვილის მიერ და ამიტომ წმინდა უტოპიაა. ბურჟუაზიული საზოგადოება ყოველ საათობით უახლოვდება სიკვდილის კრიზისს, და მუშათა კლასის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შეამოკლოს შეძლების დაგვარათ ის კონვულსიური პერიოდი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით ახლა. იმისთვის რომ მთელ ქვეყნიერობაზე წესიერება და სამართლიანობა გამეფდეს, აუცილებელი საჭიროა, რომ ყოველგან, რაც შეიძლება მალე, სოციალისტური წყობილება მოეწყოს.

სოციალიზმი არ შეიძლება ჩაისახოს დღეს ან ხვალ პარლამენტარულ არჩევნებით ან და მუდმივი საერთო ხალხოსნური რეფერენდუმით, ვინაიდან კაპიტალისტური კლასი ყოველივე ღონეს ხმარობს, რათა დაამახინჯოს ხალხის ჭეშმარიტი ნება, ხოლო ეკლესია, ყვითელი პრესა და ბურჟუაზიული ოქრო კი განაგრძობს საზიზღარ საქმის კეთებას, რომ დააჩლუნგოს მშრომელი მასების გონება და აახვევიონ იმათ ჭეშმარიტ გზიდან. თავის თავად იგულისხმება, რომ პარლამენტარიზმის სისტემას, რომელიც ასე ძვირფასია ბურჟუაზიულ დემოკრატიისათვის, ჩვენ არ ვცნობთ. ჩვენ მშვენივრათ ვიცით პარლამენტარიზმის შინაგანი ღირებულება და კარგათ ვიცით, თუ როგორი ფალსიფიკატორული საშვალებაა ის იმ ჩვენი დიადი საქმის გასაკეთებლად, რომელსაც ეწოდება შრომის განთავისუფლება.

თქვენთან ერთად ერთსულოვნათ ჩვენ ვაცხადებთ, რომ მხოლოდ მშრომელთა კლასმა უნდა გარდაქმნას და შემდეგ კიდევაც მართოს სახელმწიფო. და თქვენსავით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პროლეტარულ ავანგარდის არჩეული ინიციატიური უმცირესობა რომელიც ითრევს მთელ მუშათა კლასს თავისი მოვალეობის სრული შეგნებით, ამ უმცირესობის გაათრებული იერიშით დაემხობა ძველი წყობილება, დაჰკრავს სოციალური რევოლიუციის საათი, და გამეფდება სოციალიზმი.

თქვენ გვაიძულეთ ჩვენ ხელახლა გაგვევლო ისტორიის ცოცხალი გაკვეთილები. თქვენ ერთხელ კიდევ ნათლად დაგვიმტკიცეთ, რომ მხოლოდ ძალით და პირდაპირი რევოლიუციონური მოქმედებით, მხოლოდ სამოქალაქო ომის ცეცხლით შეიძლება დაინგრეს ძველი წყობილება და საფუძველი ჩაეყაროს ახალს, სოციალისტურს.

ჩვენთვის ნათელია, რომ არ არსებობს მეორე გზა. ჩვენ ან კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის უღლის ქვეშ უნდა ვიტანჯოთ, ან და ისეთივე შეუპოვრობით, როგორითაც სოციალური რეაქცია თავს ესხმის პროლეტარიატს, დავესხათ თავს ჩვენს საუკუნო მტერს. ბურჟუაზიის დღევანდელ დიქტატურას, პროლეტარიატმა უნდა დაუპირდაპიროს თავისი დიქტატურა. ულმობელი სინამდვილე გადაუდებლად მოითხოვს ამას. ჩვენთვის საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი ეროვნული წარსული იმისთვის, რომ ვპოვოთ ძალდატანების და ტერორის იმ მეთოდების გამართლება, რომლებსაც აუცილებლად უნდა მიმართოს იმ კლასმა, რომელიც ისწრაფვის ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ, მხოლოდ თუ კი მას უნდა შეინარჩუნოს და გაამაგროს მომავალი სოციალური წყობილების მტკიცე საფუძვლები.

(შემდეგი იქნება)

---

დასვლის, ისე კიდევ წვრილ-წვრილ მიწის ნაჭრების გამოყენების ფარგლებშიც, უნდა სწარმოებდეს განუწყვეტლივ, დაუღალავად და სისტემატიურად. უნდა განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს ნაკადი ხერხი აგიტაციისა და თან უნდა ვეძიებდეთ სულ ახალსა და ახალ ხერხებს გლეხების მასსებთან მისადგომათ და მათ შორის აგიტაციის გასაწევათ, ხოლო მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგიტაციას საქმით, ცოცხალი მაგალითის ჩვენებით. ამ მუშაობაში უდიდესი წარმატების მისაღწევათ სასურველია სოფლის პარტიულმა ორგანიზატორებმა გაიარონ მოკლე-ვადიანი სასოფლო-სამეურნეო კურსები, რომლებიც უნდა გაიმართოს მიწის მომწყობ განყოფილებებთან. პროვინციალური პარტიული პრესა, რაც შეიძლება მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს სოფლის მეურნეობისა და მისი განსაზოგადოების საკითხებს. ეს კითხვები რეგულიალურად უნდა ისმებოდეს ყველა ყრილობებზე და თათბირებზე, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობენ გლეხები, და აგრეთვე სპეციალურ უპარტიო გლეხთა კონფერენციებზე. საჭიროა ისევ განახლდეს იქ, სადაც ეს მივიწყებულა, უქმ დღეებში ქალაქებიდან სოფლად პარტიულ მუშაკთა გამგზავრება გლეხებში აგიტაციის გასაწევათ. საჭიროა ყველა სასოფლო პარტიულ წრეებთან გაიმართოს ბიბლიოთეკები პოპულიარული ლიტერატურისა სოფლის მეურნეობის შესახებ და სხვა ასეთები.

15) კომუნისტური წრეები სოფლად გარდა ჩვეულებრივ კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობისა დიდ თაოსნობას უნდა იჩენდნენ გლეხთა შორის მიწისა და მეურნეობის კითხვების წამოყენებას და მათ გადაწყვეტაში თვითონვე უნდა სდგამდენ პირველ ნაბიჯს გლეხის მეურნეობის ტეხნიკურად გაუმჯობესებისა და მისთვის ყოველგვარი სამეურნეო დახმარების აღმოჩენის საქმეში.

16) უკვე სოფელშიც შექრილი იდეა შრომის მოხალისეობისა „სუბბოტნიკების" („შაფათების") სახით ფართეთ უნდა აიხსნას, განიმარტოს და გავრცელდეს გლეხთა მასსებში. „სუბოტნიკობა" ერთ-ერთი მეტად ძლიერი და მახვილი ხერხია აგიტაციისა კოლექტიური შრომის მაგალითის საჩვენებლათ, ის ამზადებს გლეხთა მასსის ფსიხიკას კოლლექტიური მეურნეობის იდეის შესათვისებლად, ხოლო, თუ მოხერხებულად გაიმართა, აჩვევს კიდევაც გლეხებს კოლექტიურ სამუშაოთა მოწყობას. „სუბოტნიკობა", საჭიროა, ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენათ გადავაქციოთ სოფლებში. ის უნდა ჩატარდეს ძალდაუტანებლად და მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით, მოხალისეობის პრინციპის თანახმად. „სუბბოტნიკების" საორგანიზაციო-სამეურნეო მხარეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, იმიტომ, რომ გლეხები მას დააფასებენ უპირველეს ყოვლისა მიღწეულ სამეურნეო შედეგების მიხედვით.

17) უკანასკნელ ხანებში შემოიღეს და მეტად ფართოდ ვრცელდება ეგრედ წოდებული „სასოფლო მეურნეობის კვირა", „თესვის კვირა", „გლეხის კვირა" და სხვა ასეთები. ასეთ კვირეების პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა მეტად დიდია. გლეხები ხედავენ, რომ საბჭოთა მთავრობის ორგანოები და კომუნისტური პარტია მთელი კვირეების განმავლობაში იმის ცდაში არიან, რომ როგორმე, რამდენადაც ეს შესაძლოა დღევანდელ მძიმე პირობებში დაეხმარონ მას მეურნეობაში, და ხედავენ რა ამას, ჯერ რომ არასოდეს არ უგრძვნიათ, ისე გრძნობენ, რომ საბჭოთა მთავრობა—ეს მათი საკუთარი მთავრობაა. ღებულობს რა პირდაპირ რეალურ დახმარებას, გლეხი კოლლექტიურად მოწყობილ ასეთ „კვირის" შემდეგში ითვისებს უფრო ადვილად კოლლექტიური მეურნეობის იდეას. („პრავდა" № 128).

---

# ბიულეტენი პრეს-ბიუროს

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლ. საბჭოთა რუსეთში.**

**კარელები საბჭოთა მთავრობას სცნობენ.**

**პეტროზავოდსკი**, 17 ივლისი. კარელიის ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო 138 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 46 კომუნისტია, 8 თანამგრძნობი და 84 უპარტიო. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა არც ერთ „ნაკაზში" არ არის მოთხოვილი ფინლიანდიასთან შეერთება. ყველა კარელები მომხრე არიან საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირის.

**სმოლენსკის მბეჭდავები.**

**სმოლენსკი.** სმოლენსკის მბეჭდავთა პროფ. კავშირის საერთო კრებამ დაადგინა მიესალმოს სრულიად რუსეთის პოლიგრაფიულ წარმოების კონფერენციის დადგენილებებს კავშირიდან ყვითელ ბელადების გაძევების შესახებ. მხოლოდ მთელი პროლეტარიატის გაერთიანების მერმე ინტერნაციონალის გარშემო შეიძლება პროლეტარიატის გამარჯვება.

**პროლეტარული სოლიდარობა.**

**პიატიგორსკი**, 25 ივლისი. აქსაისკი სტანიოის შუშის ქარხნის მუშებმა გადადვეს ინგლისის გაფიცულ რკინისგზელების სასარგებლოთ ერთი-დღის ჯამაგირი.

**მოლაპარაკება ინგლისთან.**

**მოსკოვი**, 15 ივლისი. (ოფიციალურად). რუსეთის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. კრასინი 31 მაისს და 7 ივნისს ოფიციალურათ ეთათბირა ინგლისის მინისტრებს. ამას გარდა მას ჰქონდა ინგლისის მთავრობის ცალკე წევრებთან ოთბირი. ამის შემდეგ 29 ივნისს კრასინმა ინგლისის მთავრობას მიმართა ენერგიული ნოტით, რომელშიაც მან განუცხადა, რომ თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობას საჭიროთ მიაჩნია ორივე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სფეროში ყოველივე გაუგებრობის და უთანხმოებისი მოსპობა, კერძოთ მტრული მოქმედების შეწყვეტა ახლო და შორეულ აღმოსავლეთში და აგრეთვე ურთიერთ შორის ქონებაზე პრეტენზიების მოწესრიგება, მაშინ საბჭოთა მთავრობა მზათაა დაუყოვნებლივ გაიზიაროს ასნთი სურვილი, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ასეთი შეთანხმება შეუძლებელია, თუ არა საზავო ფორმალურ მოლაპარაკების ფარგლებში.

ამ ნოტაში ამხ. კრასინი ეხება რუსეთ-ინგლისის ურთი-ერთობის საკითხებს და აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა ფორმალური დაპირება მისცეს, რომ ის არ აწარმოებს კომუნისტურ პროპაგანდას ინგლისში და არ ჩაერევა ინგლისის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ კი მოხდება შეთანხმება რუსეთსა და ინგლისს შორის ეკონომიურ და სავაჭრო ურთი-ერთობის განახლების შესახებ და თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობა თავის მხრითაც დაპირება მისცემს—რუსეთში არ აწარმოვოს პროპაგანდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ზემო აღნიშნულ ვალდებულებამ არ უნდა წაართვას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს საშუალება ინგლისში, პრესაში გამოსვლისა, ან უარჰყოს სინამდვილესთან შეუფერებელი და ხანდახან განზრახ დამახინჯებული ცნობები და ხმები საბჭოთა წესწყობილების საფუძველთა და საბჭოთა ცხოვრების სხვა და სხვა ამბის შესახებ.

რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის საერთო საგარეო პოლიტიკას, მარტო საზავო მოლაპარაკების ფაქტს შეუძლია რუსეთს და ინგლისს შორის მტრული განწყობილების მოსპობა. საბჭოთა მთავრობა დათანხმდება გადახედოს მთელ საგარეო პოლიტიკის საფუძვლები და კერძოთ ხელი აიღოს დიდი ბრიტანიის წინააღმდეგ მიმართულ მტრთლ მოქმედებასა და ან სხვა ზომებში მონაწილეობის მიღებაზე, თუ კი ასეთსავე ვალდებულებას დასდებს დიდი ბრიტანიის მთავრობა, რის სისწორით შესასრულებლათ შესაფერი გარანტია მოცემული უნდა იქმნეს ორივე მთავრობის თანასწორ რიცხვის წარმომადგენელთა კონფერენციაზე შემუშავებულ განსაკუთრებულ ხელშეკრულებით. ამ კონფერენციაზე უნდა იყვნენ ექსპერტებიც.

ასეთი ხელშეკრულობის ფორმულიროვკაში საგრძნობ სიძნელეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინგლისი მონაწილეობს სამხედრო კოალიციაში, რომლის წევრი საბჭოთა რუსეთთან საომარ განწყობილებაში იმყოფება, რის გამოც ინგლისის ვალდებულება საომარ საქმეების შეწყვეტის შესახებ საგრძნობლად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან ეს ვალდებულება ქარწყლდება საბჭოთა რუსეთზე ინგლისის მოკავშირეთა თავდასხმის შესაძლებლობის გამო. ამიტომ, სჩანს, ამ საკითხის საბოლოოთ მოწესრიგება შესაძლებელია ფორმალურ ზავის შეკვრის შესახებ მოლაპარაკების დროს.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გემების შესვლა ოდესაში

მ ო ს კ ო ვ ი. ყველა ის გემები, რომლებიც ოდესაში მიდის, უნდა გაჩერდეს 25 მილის მოშორებით, მათ რადიოთი უნდა სთხოვონ ნავთსადგურის უფროსს, რომ მან იმათ ნავთსადგურში შესვლის ნება დართოს.

ინგლისის გენერლის ტყვედ წაყვანა.

ლ ო ნ დ ო ნ ი. თანახმად მიღებულ ცნობებისა სინფეინერებს ბრიტანეთის გენერალი ლიუკასი ტყვეთ წაუყვანიათ. ყოველგვარი ცდა გაიგონ, თუ სად იმყოფება გენერალი, უშედეგოდ რჩება. რამდენიმე დღის წინედ ინგლისის ჯარებმა მიიღეს ანონიმური წერილი იმის შესახებ, რომ გენერალი ლიუკასი სამხედრო ტყვედ არის გამოცხადებული და რომ მას ეპყრობიან ისე, როგორც ეს მის მდგომარეობას შეეფერება. ამასთანავე მიიღეს წერილი თვით გენ. ლიუკასისაგან, რომელშიაც იგი იტყობინება, რომ უფლება აქვს მიიღოს წერილები, ამასთანავე იგი ითხოვს არ ეძიონ, ვინაიდან ეს გაუარესებს ჩემ მდგომარეობას.

---

# ახალი ამბები

— ახალციხის ციხიდან ქუთაისის ციხეში გადმოიყვანეს შემდეგი კომუნისტი ამხანაგები: 1) კოზანდჯიანი, 2) დარბენიანი, 3) ჩილინგარიანი, 4) ომარხანიანი, 5) ბახჩინიანი, 6) ექსურიანი. ესენი დააპატიმრეს ახალციხეში 25 ივნისს.

— ჯამაგირები მცირეწლოვანთათვის. შრომის სამინისტრომ განუმარტა არსენალის უფროსს, რომ სამუშაო ქირა მცირეწლოვანთათვის უნდა განისაზღვრებოდეს ნამდვილ ნამუშევარ საათების რიცხვის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფელი და მიწის მუშა.

## მუშაობა სოფლად.

(„ბედნატა“-ს № 673).

სრულიად რუსეთის თათბირზე მიღებულ და რ. კ. პ. ც. კ—ის მიერ მოწონებულ დადგენილებას სოფლად მუშაობის შესახებ „გლეხთა კვირა“-ს, მიზნათ აქვს დასახული დახმარება აღმოუჩინოს გლეხებს მათ მიუცილებელ და მწვავე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში. უპირველესათ ამხ. ყურადღებას მივაქცევთ მასზე, რომ ყველა განსაზღვრული სამუშავოები აუცილებლათ უნდა მოვაგვაროთ, სადაც კი ეს მიუცილებელია დროთა ვითარების მიხედვით.

პირველ რიგში შეიძლება განვახორციელოთ ისეთი სამუშაო, როგორიცაა მაგალითათ,—მკა, პურის აკრეფა, გაწმენდა, მინდვრების გამოშრობა, გასწორება და გაყვანა ახალი გზებისა, შეკეთება ხიდეებისაა და სხ.

მეორე რიგის სამუშაოებია: საშემოდგომო ანეული, ახო-კაპეტის დამზადება, უყი მიწების დამუშავება, ხელსაწყოს და სამუშაო იარაღის შეკეთება და სხ. ცენტრალურმა კომისიამ არა ერთხელ განმარტა, რომ შეცვლა ამ წესის ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით დასაშვებია და მასთან აუცილებლათ განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ინვენტარის შეკეთებას.

წინასწარ მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმის მოსაგვარებლათ, როგორც ეს ნაჩვენებია ინსტრუქციის 17 მუხლში. დაკვირვებით და ყურადღებით უნდა გავარჩიოთ კამპანიის გეგმა, უნდა დავამზადოთ საჭირო მასალა, უნდა გამოვნახოთ მუშა ძალა და მივაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღება აღმასრულებელ ძალებს და საშუალებებს, უნდა აღინიშნოს რაც საჭიროა და უმთავრესი, გვერდზე უნდა გადაიდვას რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია, რომ შევასრულოთ ჩვენი დანაპირები და მით მოვიპოვოთ სოფლად გლეხების მხურვალე თანაგრძნობა და პატივი.

აი რისთვის დანიშნა სოფლის საზოგადოებათ კომისიამ წარმომადგენელი თვით სოფლის მცხოვრებლებისაგან, რომელიც არჩეულ უნდა იქნეს ფართო გლეხთა კონფერენციაზე, რომ მით ფართო გლეხთა ნაწილები ჩავითრიოთ ამ საქმეში. აუცილებლად უნდა განვიხილოთ ყველა წვრილმანი და შეუფარდოთ ჩვენი გეგმა და მუშაობა ადგილობრივ პირობებს, რომ არ გავგზავნოთ, მაგალითათ სამკელათ მაშინ, როდესაც მკა უკვე მოთავებულია. არ უნდა მოუხმოთ მთიბავებს, ვიდრე წინასწარ ცელი და ფოცხი დამზადებული არა გვაქვს, არ უნდა შეუდგეთ შეკეთებას რისამე უნახშიროთ, (ვინაიდან წინასწარ შეგვიძლია დავამზადოთ ტყეში ნახშირი იმავე მუშა გლეხების შემწეობით) და სხ...

მაგრამ მარტო სამეურნეო დახმარების საკითხით როდი განისაზღვრება „გლეხთა კვირა“, არამედ ამ საკითხთან ერთად სდგას საკითხი ფარტო აგიტაციისა, საპროპაგანდო მუშაობისა და კულტურული განმანათლებელი მოღვაწეობისა. ამიტომ მუშაობის გეგმაში აუცილებლათ უნდა შევიტანოთ პროპაგანდა კომუნისტური იდეიისა, და მასთან სპექტაკლის, ორგანიზაციების და კლუბების მოწყობა და ახსნა-განმარტება იმისა, თუ რამდენათ მიუცილებელია მეურნეობაში კოლექტიური ფორმის შემოღება და სხვა.

ადგილობრივი გამოცდილების წინდაწინვე აღსანუსხავათ და ამ გამოცდილების გამოსაყენებლათ კომისია აუცილებელ საჭიროებათ თვლის ცნობების შეკრებას, ანგარიშების შედგენას, რასაც ცენტრს უგზავნის. მოქმედების გეგმა ადგილობრივად გაზეთებში იბეჭდება და ეცნობება ცენტრს. მეზობელ მაზრის და გუბერნიის მცხოვრებთა გამოცდილება, რაც იწვევს სარგებლიან შეჯიბრებას ცენტრთან და პერიფერიებთან შეათანხმებს სამუშაოების წინასწარ აღნუსხვას.

კამპანიაზე გაწეულ ხარჯების გამო ინსტრუქციის მე-14 მუხლში ნაჩვენების გარდა, ცენტრალური კომისიის განკარგულებით გადადებულია საჭირო თანხა, რომელიც დაუყონებლივ განაწილებული იქნება ადგილებზე.

კომისიების საარჩევნო მუშაობის გეგმის გამომუშავებისათვის და მომზადებისათვის კამპანიის დასაწყისშივე უნდა შეუდგეთ დაუყონებლივ მუშაობას, სადაც ეს შესაძლებელია. ცენტრალური კომისია დარწმუნებულია, რომ მთელი თავისი ძალით და მხურვალე ენტუზიაზმით ამხანაგები დაიპყრობენ სოფელს და ჩაითრევენ გლეხთა მასსებს აღნიშნულ ნაყოფიერ შრომაში.

„გლეხის კვირის“ მომწყობი ცენტრალური კომისიის თავმჯდ. ვ. ნევსკი.

# ჩვენი სკოლა!

დღეს გაიხსნა ჩვენი სკოლა, დღეს დაირთო მასზე ნება,
სადაც ყველას მოგიწოდებთ, თუ რომ იყოს თქვენიც ნება,
მოდით, მოდით ჩვენს სკოლაში; აქ ვისწავლოთ წმინდა მცნება,
აქ გონება ვავარჯიშოთ, აქ მივიღოთ განათლება.
აქ აიზმით განვიბანოთ, აქ ვსვათ წყარო უკვდავების,
აქ ერთ—ურთ შეფიცულნი, დავირაზმნეთ ბრძოლად მტრების,
აქ აბჯარი იჭედება, საწყობია, თოფის ხმლების,
საიმედო მოსახმარი, თუ ოდესმე დაგვჭირდების.
აქ ბრწყინვალე არავინ გვყავს ძველით მოსულთ ნუ შეგრცხვებათ,
აქ ყველანი მუშებია თანაგრძნობით შემოგხვდებათ,
აქ კარებიც, უსასყიდლოდ, მოსვლის უმალ გაგეღებათ,
და ზე თქმული მცნების წიგნიც, უმალ ხელში მოგერთმევათ,
მაშ მოჰმართეთ ჩვენსა სკოლას, სად სწავლაა წმინდა მცნების
აქ ერთი-ურთ შეფიცულნი, დავირაზმნეთ ბრძოლად მტრების.

გ. მირინაშვილი.

ს. ანაგა.

# მუშათა ცხოვრება

## საზღვარ-გარეთ

### ჩინელ მუშების მე-3-ე ყრილობა

18 ივნისს შესდგა რუსეთში, ციმბირში და თურქესტანში ცხოვრებ ჩინელ მუშების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა. ყრილობას დაესწრო 52 დელეგატი, რომლებიც ასი-ათას მეტ შეკავშირებულ მუშების წარმომადგენლები არიან.

### თურქესტანში

თურქესტანის პროფესიონალურ კავშირთა საოლქო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა თურც იკომის წინაშე, რათა გადაგზავნოს მან 3 მილიონი მანათი მე-3 ინტერნაციონალის სახელზე საფრანგეთის გაფიცულ მუშების-რკინის გზელების ფონდისთვის, რომლებსაც არ სურთ გაუგზავნონ თეთრ პოლონეთს ყუმბარები. ეს თანხა კი შევსებულ უნდა იქნეს პროფესიონალურ კავშირთა წევრების მიერ ერთდროულ გადასახადის შემოტანით.

### რეპრესიები შრომის კონფედერაციის წინაალმდეგ საფრანგეთში

20 მაისს დაატუსაღეს საფრანგეთის რკინის გზელების ბელადი მანმუსო. პოლიცია დიდხანს ეძებდა მანმუსოს, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველთვის ახერხებდა დამალვას. ბოლოს გაიგეს რომ ის იყო კონფედერალურ ბიუროს სხდომაზე. სხდომის გათავების შემდეგ მანმუსომ შეეცადა გასულიყო უკანა კარებიდან და მიმალულიყო, მაგრამ მაინც დააკავეს. მისი ბინის გაჩხრეკის დროს არაფერი „სახელის გასატეხი“ რამ არ უპოვნიათ. მანმუსო პასუხის გებაშია მიცემული და ბრალდება სახელმწიფოს შინაურ წესიერების წინაალმდეგ შეთქმულობის მოწყობა.

### ესტონიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გარეკა

შინაგან საქმეთა მინისტრის გელტატა კროიცინის განკარგულებით დახურულ იქნა ესტონიის პროფესიონალურ ორგანიზაციების ცენტრალური საბჭო. იმ დღეს 4 საათზე ესტონიის პროფესიონალურ ორგანიზაციების ბინაზე მოიჭრა რესპუბლიკის განსაკუთრებული პოლიცია-სამხედრო ძალა-უფლების წარმომადგენელთან ერთად და კონფისკაცია უყო ცენტრალურ საბჭოს დოკუმენტებს და წიგნებს. საბჭო დახურულ იქმნა იმ საბაბით, რომ ვითომ და ის არ იყო მოხვედრილი რეგისტრაციაში კანონიერი წესით. ესტონიის პროფესიონალურ მოძრაობის ხელმძღვანელობა გადავიდა ახლა დამოუკიდებელ სოციალისტების ხელში, რომლებსაც ალბათ უმრავლესობა ყავთ დასახელებულ საბჭოში.

პასუხის გებაშია მიცემული აგრეთვე ესტონიის რკინის გზელების კავშირის პრეზიდიუმი იმისთვის, რომ მოუწოდებდა რკინის გზელებს დაეწყოთ გაფიცვა ათ ივნისიდან.

### ჩინელი მუშების სალამი

„აზშიბიოს“ ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის პროფესიონალურ კავშირთა კრებამ შანღუნში მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც ტელეგრაფით გაგზავნილ იქნა ციმბირში: „ჩინეთის მუშების და გლეხების სახელით გიძღვნით გულითად მოლოცვას, თქვენ რევოლიუციის გამარჯვების გამო. გვწამს, რომ მომავალში კაპიტალისტები მთელ მსოფლიოზე დამხობილ იქნება ჩვენი ძმა მუშების საკეთილდღეოთ, და ყველა ჩვენ მივაღწევთ თავისუფლებას, თანასწორორობას და ძმობას. ჩვენ სალამს უძღვნით რუსეთის წითელ არმიას მსხვერპლის შეწირვისათვის ჩვენი ძმების, მთელი მსოფლიოს მუშების გულისათვის. ჩინეთის მუშები მზად არიან გვერდში ამოგიდგენ თქვენ სამართლიანობის არმიის დროშის ქვეშ. დარწმუნებული იმაში, რომ ბოლოს და ბოლოს შევსძლებთ ჩვენ აღმოვფხრათ კაპიტალიზმის ბოროტება და კლასიური პრივილეგიები“. რეზოლიუციას ხელს აწერს ჩინეთის მუშათა ასოციაცია. ამის გადმომცემი სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის მთავრობამ ყველა ზომებს მიმართა, რომ ეს დეპეშა ციმბირში არ მოხვედროდა.

# წერილი ციხიდან

## ვერ მოითმინეს!

არ გაუვლია დიდ ხანს მას შემდეგ, რაც ჩვენმა ორგანიზაციულმა მუშაობამ დუშეთის მაზრაში გამოიღო ნაყოფი და დაარსდა ქ. დუშეთში სამაზრო ბიურო. ჩვენი მტრები ვერ შეურიგდენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ მათ თვალწინ ვაწარმოებდით პარტიულ მუშაობას და ვრაზმავდით ახალ ძალებს პარტიაში; ისინი ყოველნაირათ ცდილობდენ ხელი შეეშალათ ჩვენი მუშაობისთვის. ამის გამო მათ მიჰმართეს ჩვეულებრივ საშვალებას, ჭორების და აშკარა ცილის წამების გავრცელებას საბჭოთა რუსეთზე და კერძოთ ჩვენს პარტიაზე; მაგრამ მათი შხამით სავსე გული არ იზიდავდა გლეხებს, რომლებიც ჯეროვან პასუხს სცემდვენ ამ მატყუარა ვაჟბატონებს. როდესაც მათ დაინახეს, რომ ამ გვარ „ზომებით“ მიზანს ვერ აღწევენ, მაშინ მიჰმართეს საიმედო „საშვალებას“ და მოიყვანეს სისრულეში თვისი ჩუმი განზრახვანი კვირას, 27 ივნისს. ამ დღისთვის იყო მოწვეული დუშეთის სამაზრო კონფერენცია. მე ოთხი ამხანაგით გაველ სადგურზე და იქ დაუწყე ლოდინი დანარჩენ ამხანაგებს სოფლებიდან. ამ დროს სადგურზე გაჩნდა სამაზრო კომისარი ანთელავა შეიარაღებული მილიციონერების თანხლებით და გამოგვიცხადა, რომ ჩვენ ყველანი (რიცხვით ხუთი კაცი) ვართ დატუსაღებულნი. მე შევეკითხე.—„რაშია საქმე, რათ გვატუსაღებთ მეთქი?! ამაზე კომისარმა მომიგო:— „მე ძველი პოლიციელი ვარ და ვასრულებ ჩემს ვალდებულებას.“ გზაზე კომისარიატისკენ კომისარმა ყველა გამვლელი გლეხი შემოუერთა ჩვენს ჯგუფს, და როდესაც მიგვრეკეს კომისარიატში, უკვე ჩვენი რიცხვი გაზრდილიყო 28-30 კაცამდის. შემდეგ კომისარმა გამომიხმო მე და წამიყვანა სამაზრო ბიუროს ბინაზე, სადაც ბეჯითი „ობისკის“ შემდეგ აღმოაჩინა სამაზ. კომიტეტის ბეჭედი, პარტიის წევრთა სია, სარეგისტრაციო ბარათები, ოქმების წიგნი და ყველა ესენი წამოიღო თან. ბიურო კი დაბეჭდა. ჩემს მოთხოვნაზე, რომ ამის შესახებ შეედგინათ ოქმი, კომისარმა უარით მიპასუხა; მიველით რა კომისარიატში, მან სათითაოდ გამოიძახა შეპყრობილნი და ბევრი მათგანი გაანთავისუფლა. ჩვენ კი დარჩენილ რვა კაცს გამოგვიცხადა; რომ ხვალ მეტეხის ციხეში იქნებით გაგზავნილნიო, მე დაჟინებით მოვითხოვდი, რომ წამოეყენებინა ჩვენდამი ბრალდება. კომისარმა გადაჭრით მიპასუხა, რომ თქვენ ხართ კომუნისტები, დაწვრილებით კი მეტეხის ციხეში გაიგებთ, რაზედ დაგატუსაღეთო.“

ციხეში მისვლისთანავე (ფეხით) მე მოვითხოვე ახლი კომისრის დადგენილებისა და მივიღე შემდეგი „ბრალდება:“

— „1920 წ. ივნისის 27-ს მე, დუშეთის მაზრის მილიციის უფროსმა გ. ანთელავამ მივიღე რა მხედველობაში, რომ დღეს, 27 ივნისს კომუნისტური პარტიის წარმომად ენელნი-აფციაური დავითი და სიხარულიძე ვიქტორს ჰქონდათ საიდუმლო კრება დუშეთის სადგურზედ, რაც ჩემდამი მიღებულ საიდუმლო ცნობებიდან დამტკიცდა, ხსენებულნი პირნი ეწეოდენ აგიტაციას ხალხში, რომ ჩქარა, სულ მოკლე ხანში გაიმარჯვებს კომუნისტური პარტია, ხოლო ვიდრე ასეთი ცვლილება მოხდებოდეს, საჭირო არის მთავრობის წინააღმდეგ უფრო ძლიერი აღელვება ხალხის, ჯარის, გვარდიის და სხვა. აგრეთვე არ უნდა დაემორჩილონ ამ მენშევიკურ მთავრობას, არ უნდა დაბრუნდენ დეზერტირები, არ უნდა გამოვიდეს სასალდათო კაცი ჯარში; უნდა მოემატოს ცარცვა-დაცემა, კვლა და სხვა, ვიდრე ამ მთავრობას დავამხობთო... ყოველივე ამ ცნობების მოსმენის შემდეგ და კრების გათავებისა, შევიპყარი თვით მეთაურები დ. აფციაური, ვ. სიხარულიძე, ვერძეული გაბო, კარიაული დათიკო, მანგიაშვილი მ., ლაფანაშვილი გ. აგაშენაშვილი და აბრამაშვილი შაქრო და დავადგინე ზემოხსენებ. პირნი იქმნენ მოთავსებული თბილისის მეტეხის ციხეში, ჩარიცხვით შინაგან საქ სამინისტროზე.“

მართლაც რომ სამაგალითო სიცრუით არის შეთხზული ეს უსირცხვილო, პროვოკაციით სავსე, ყოველივე სინამდვილეს მოკლებული ბრალდება სად და როდის გვქონდა ფარული კრება ან დამისახელოს ბ. კომისარმა ის პირნი, რომელთა შორის მე ვეწეოდი ასეთ გონება-მოკლებულ აგიტაციას?! მე ზიზღით უარვყოფ წამოყენებულ ბრალდებებს, ვაცხადებ კატეგორიულ პროტესტს კომისრის ასეთ თვითნებობის წინააღდეგ, მოვითხოვ დაუყონებლივ ჩემს კანონიერ გასამართლებას, ან და განთავისუფლებას.

დათიკო აფციაური.

17 ივლისს

დრ. რედაქტორი:
დიმიტრი ჯორბენაძე.

# უწყებანი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

თფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვას ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

### ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

### მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო

დროებით მოთავსებულია რუსთველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
13. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. 3.